ისტორიული დილემა

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

წინამდებარე სავარჯიშო ეხება ისტორიული დილემების განხილვას. პირველ დილემაში ასახულია „ცივი ომის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, კერძოდ, აშშ-ს და სსრკ-ს ბირთვული დაპირისპირება და ამ დაპირისპირებასთან დაკავშირებული განიარაღების საკითხი. მეორე დილემა ეხება ძველ საბერძნეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას - პელოპონესის ომს. მასში განხილულია, თუკიდიდეს მიერ გადმოცემული, ათენელთა და მილოსელთა დაპირისპირება.
მოსწავლეებმა უნდა გამონახონ ზემოთ მოცემული დილემების გადაჭრის მათეული ვერსია და საკუთარი მოსაზრება დაასაბუთონ ლოგიკური არგუმენტებით.

დილემა N1

სათაური: ცივი ომი

მიზანი: მოსწავლეები აანალიზებენ ცივი ომის დროს შექმნილ სიტუაციას და ცდილობენ გადაჭრან მათ წინაშე დასმული დილემა.

აქტივობა - 1

მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეებს: „ისტორიიდან გაიხსენეთ ცივი ომის დროინდელი მდგომარეობა, როდესაც მიმდინარეობდა გამალებული შეიარაღება“.

აქტივობა - 2

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს დილემის განმარტებას.

დილემა - 1. ლოგიკური მსჯელობა ან დასკვნა, რომელიც შეიცავს ორ, ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია.
2. ისეთი ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა.

აქტივობა - 3

მასწავლებელი აცნობს დილემას, რომელიც ცივი ომის დროს აშშ -ს და სსრკ - ს დაპირისპირებას ასახავდა და სვამს შეკითხვას: თქვენი აზრით, დილემის რომელი ვარიანტი იქნებოდა მისაღები ორივე მხარისთვის და რატომ?აუცილებელია პასუხის გაცემისას ლოგიკური მსჯელობა და არგუმენტების მოყვანა!!!

დილემა:

ა. – „ჩვენ ვიარაღდებით, ხოლო მოწინააღმდეგე არა“;
ბ. – „არავინ იარაღდება“;
გ. – „ორივე იარაღდება“;
დ. – „ჩვენ არ ვიარაღდებით, მოწინააღმდეგე იარაღდება“.

დილემა N2

დავალება - მოსწავლეები უნდა გაეცნონ დილემას - **„მელოსური დიალოგი“.** იმსჯელონ, თუ რომელი გზა იქნებოდა მათი აზრით მილოსელთათვის სწორი ან რამდენად სწორად მოიქცნენ ათენელები, როდესაც მოწინააღმდეგე ასეთ მდგომარეობაში ჩააგდეს. პოზიციის დაფიქსირებისას აუცილებელია მისი დასაბუთება. შესაძლებელია მონაწილეებმა საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანონ მაგალითები სხვა ქვეყნებისა და ეპოქების ისტორიიდან. იმართება დისკუსია.

დილემა - 1. ლოგიკური მსჯელობა ან დასკვნა, რომელიც შეიცავს ორ, ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია.
2. ისეთი ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

მელოსური დიალოგი

თუკიდიდე

მილოსურ დიალოგს განსაკუთრებული ადგილი უკავია თუკიდიდეს „პელოპონესის ომის ისტორიაში“. ეს ერთადერთი პასაჟია, რომელიც დაწერილია დიალოგის ჟანრში. ამ ომის ყველა სხვა მომენტი თუკიდიდეს მიერ გადმოცემულია პერსონაჟთა გრძელი მონოლოგებით. ამავე დროს, აქ მოსაუბრეთა მიზანია ერთმანეთის დარწმუნება საკუთარ სიმართლეში. მკვლევარ ჰორბლაუერის აზრით, თვით თუკიდიდეს პოზიცია ამ ტექსტის მიხედვით შეუძლებელია გავიგოთ.

ჩვენი მიზანი არ არის წარმოგიდგინოთ სრული დიალოგი. შევეცდებით მხოლოდ საუბრის არსი გაგაცნოთ.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე გადმოგვცემს: ძვ.წ. V საუკუნეში, პელოპონესის ომის დროს, ათენმა, რომელმაც გადაწყვიტა კუნძულ მილოსის დაპყრობა, გააგზავნა ელჩები ამ კუნძულზე. ათენელი ელჩები სთავაზობდნენ მილოსელებს დანებებას, მიუთითებდნენ მათ, რომ საჭიროა უკუაგდოთ „კეთილშობილური სიტყვები“ სიკეთისა და ბოროტების შესახებ და მათ მაგიერ განიხილოთ ძალა და ინტერესები.

„ჩვენზე ნაკლებად არც თქვენ იცით, რომ სამართალი მხოლოდ თანაბარი ძალის მქონეთა ხვედრია. რაც შეეხება ძლიერებს, ისინი აკეთებენ იმას, რაც უნდათ, ხოლო სუსტები იჩაგრებიან ისე, როგორც უნდა იჩაგრებოდნენ“.

ათენელი ელჩები არწმუნებდნენ მილოსელებს, რომ თავისუფლება ძალის შედეგია. მილოსელეთა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის - ეს არ არის თანასწორთა ბრძოლა, სადაც გამარჯვებულს ერგება დიდება, ხოლო დამარცხებულს - სირცხვილი. აქ საქმე გვაქვს თვითგადარჩენასთან - „მიზანშეწონილობა და უსაფრთხოება ერთად მიაბიჯებენ, ხოლო სამართლიანობისა და ღირსების გზაზე სვლა საშიშია“. ათენელებმა ხაზი გაუსვეს, რომ მათ არ მოუგონიათ ეს წესები და მოლოსელები სწორედ ასევე მოიქცეოდნენ, მათ რომ ჰქონდეთ ამის შესაძლებლობა.

I დილემა

მილოსელები ნებდებიან ათენელებს;

მილოსელები იბრძვიან დამოუკიდებლობისთვის.

II დილემა

ათენელები მოიქცნენ სამართლიანად;

ათენელები მილოსელებს მოექცნენ უსამართლოდ.

შედეგი: მილოსელები არ დათანხმდნენ დანებებას. ძვ.წ. 415 გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, ათენელებმა აიღეს მილოსი, სიკვდილით დასაჯეს ყველა მამაკაცი, ხოლო ქალები და ბავშვები მონებად გაყიდეს და გადაასახლეს კუნძულიდან. მილოსელები განადგურდნენ. კუნძულზე ათენელი კოლონისტები ჩამოსახლდნენ.